645/
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 1 იანვარი 1958

645/
1958/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 1 იანვარი 1958




მე უფრო მეტად მიძნელდება საახალწლო მილოცვა ჩემი სამშობლოს ქალებისადმი.

ეს იმიტომ, რომ მე ყველაზე მეტად თქვენს წინაშე ვარ დამნაშავე. განა ოდესმე მაპატიებთ, რომ ასე უსამართლოდ დავახრჩე უმანკო დეზდემონა?

და თუ მაპატიებთ, შევეცდები შემდგომ ჩემს ახალ დადგმებში ისეთნაირად წარვმართო იმ ჩემი მომავალი სცენიური გმირის მოქმედება, ხასიათი და ქცევა, რომ „გამოვისყიდო დანაშაული“.

დაე, ახალი ცდის ნაყოფმა დაგავიწყოთ ჩემი „ოტელოს შეცოდებანი“.

ვ. ჭაბუკიანი

სსრკ სახალხო არტისტი.



ხალხის ნებაა
რომ ჩვენს პლანეტას
თანამგზავრები
მოეფინა დღეს.
ორმოცი წელი
დიდი ოქტომბრის
ჩვენ გავიარეთ.
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

დედების ბედი,
შვილების ბედი—
ელის მომავალს
მშვენიერს და ვრცელს.
მშვიდობა ჰფენდეს
ქვეყანას სხივებს,
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!—
გაიძახის დღეს
მთა და ხეობა.
ვუსურვოთ ყოველ
საბჭოთა ოჯახს
ბედნიერება,
კეთილდღეობა!

ჩვენი სალამი
საბჭოთა ქალებს,
მათ დროშას, ასე
დიდებულად მსვლელს;
საბჭოთა ქალებს,
ჩვენს ქართველ ქალებს,
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

[signature]

საქართველოს სახალხო პოეტი

— ჩემო დედიკო..

— არა, ასე არა, — არხევს კულულებიან თავს ცუგ[...]რუმელა.

— ჩემო ტკბილო დედიკო, — ასწორებს ბიჭუნა დ[...] მისი მესაიდუმლეც იმეორებს:

— ჩემო ტკბილო დედიკო!

— მოგილოცავთ ახალ წელს. პირობას გაძლევ[...] რომ ყველაფერს დაგიჯერებთ. არ გაგაბრაზებთ..

და პაწიებს მოთმინება ელევათ — ჩქარა ჩაეკრა[...] მკერდში ყველაზე საყვარელს, აჩვენონ გაქცეულ[...] სტრიქონები, რაც გულმა უკარნახა.

1958 წელიც მოვიდა, ახალი მიზნების, იმედების და სურვილების წელი. ჩემი მილოცვაც მიიღეთ, მეგობრებო, ჩემი კეთილი სურვილები. თუმც ერთი „უხერხულობაც“ არის. მე ხომ ეს წელი კარგახანია უკან მოვიტოვე, ორ წელიწადში შვიდი წლის გეგმა შევასრულე და ახლა 1963 წელში გადავდექი. მაგრამ მაინც თქვენთანა ვარ, დებო, ამ ახალი წლის სიხარულს თქვენთან ერთად ვინაწილებ. აი, რა მინდა გისურვოთ: მშვიდობა არ მოგაკლებოდეთ, ბედნიერება არ დაგლეოდეთ, წარმატებები გემრავლოთ.

[signature]

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი.

ყველა მას, ვინც სპორტის მიმდევარია, ვინც სილამაზით, მოქნილობით და ამტანობით გვხიბლავს, ჩემს სახელოვან კოლეგებს ჩემი საახალწლო მილოცვა. არ შემიძლია პირადად არ მივმართო ნინო დუმბაძეს, ელენე გოკიელს, ნადეჟდა დვალიშვილს, ალისა ასიტაშვილს, გალინა შარაბიძეს, მზია ჯუღელს, ელისო კაკაბაძეს, მედეა ხაჩიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, მზია ნინოშვილს, არ ვთქვა მათი სადღეგრძელო, არ ვუსურვო ბედნიერება, გულით არ დავლოცო: დაე, ახალი წლიდან ხვავიანად ეთოვოს გამარჯვებებს თქვენს სპორტულ სარბიელზე!

მივესალმები ყველა ქალს, ყველა დედას, რომლებიც ღამეებს ათევენ ბავშვებზე ზრუნვითა და ფიქრით. ერთი სათხოვარი მაქვს მათთან: ბავშვის სილაღეს ფრთა გააშლევინონ, სპორტით გატაცებას ნუ დაუშლიან, რათა ისინი მოქნილნი და მამაცნი იყვნენ.

[signature]

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გიორგი ლეონიძე

## საახალწლოდ ჩვენს ქალებს

ქალი ბროლის ანადარი,
ვარსკვლავთ ელვა, ვარდნათელი,
ბევრი გვახსოვს სამშობლოში
შუქურ შუქის დამფანტველი.

გვიბრძოლნია მათი დროშით,
გვილოცნია მისი ქოშიც,—
მისი კალთა სანატრელი!
მის ღიმილზე შოთა სწერდა,
გული ვის არ აუძგერდა
წამწამებით განათელი?.....

მშრომელი და მხნე, გამრჯელი,
გმირთა მზრდელი, გამწაფველი,
თვის ლეჩაქის სისპეტაკით
საქართველოს კერის მცველი,—
ბევრი გვყავდა... რა გვიყვარდა...
(რა დააშრობს უკვდავ წყაროს?)
ვინც არჩევდა მწარე სიკვდილს,
ვიდრე ყოფნას სამოწყალოს!
დღესაც ჩვენში არაერთი,
ლაწვს აინთებს ელვა—ქალი,
მზეონა და თვალმაისა,
ვარდისახე, ბროლფიქალი,
ძველ დედათა მადლი მოსდგამთ,
რა დააშრობს უკვდავ წყაროს?
იმედი გვაქვს, რომ შრომითაც,
ოჯახითაც გაგვახარონ!...

ვაშა, მრავლად გვიყვავიან,
როგორც მღიმარ ყვავილთ კრება...
საქართველოს იმედები
მათ ქალობას ენუკრება!
ჩემი ლექსით დადაფნული,
იყოს მათი გაზაფხული!

მოგილოცავთ დიდს, პატარას,
გათხოვილს თუ საპატარძლოს,
ვისურვებდი, დიდხანს გასძლოს
ამ სურვილმა საახალწლომ!
გრძელდებოდე საამაყოდ,
წინაპართა დედათ ღვაწლო!



მხატვარი ნ. ჟუკოვი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ილუსტრირებული ჟურნალი

საბჭოთა ქალი

№ 1

იანვარი
1958 წელი



ნახ. კ. მახარაძისა

# როცა საათმა თორმეტჯერ დარეკა...













ფოტო შ. გოქაძისა



ახალშობილი წლის პირველ დაყვირებამდე წუთებილაა დარჩენილი, შამპანურის საცობი ზემოთ ვარდება, ჰიქები წკარუნით ივსება, სუფრაა, უკეთესს რას ინატრებს კაცი!? მის ირგვლივ მსხდომნიც მოახლოებული წლის ნაბიჯებს აყურებენ, წამებს ითვლიან. ამ დარჩენილ წამებში მეგობრები, ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს ნაზულობენ და ვინ იცის, მერამდენე წელს ხვდებიან ერთად! მოსიყვარულე ცოლქმარი დასცქერის თავის მძინარე პირმშოს, ძილში, რომ ტუჩები გაპობია. ბედნიერი დედმამა მისთვის ყველაფერ კარგს ნატრულობს. დღეს შეუვარებულნიც ერთად არიან და იქნებ ყველაზე მეტად ღელავენ — ამ ახალ წელს ხომ ქორწილი მოაქვს მათთვის.

წამიც და ოჯახებში სიჩუმე დგება — სტუმარი მობრძანდა და მერე რა საპატიო სტუმარი! ახალმოსულს წესისამებრ ფეხზეამდგარი ხვდებიან:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ახალო წელო! რა მოგაქვს?

— მშვიდობა!

— გვსურს, გვსურს! კიდევ?

— სიტკბო, სიხარული, ბედნიერება!

— იცოცხლე...

და პირველი სადღეგრძელო უცილოთ ახალმოსულისაა.

მაგრამ ამ დროს ყველა საახალწლო სუფრასთან როდია, ყველა ნაცნობ-მეგობრებში როდი მხიარულობს. არიან ადამიანები, რომლებსაც ახალი წელი სამუშაოზე უსწრებთ.



აგერ, საშაქარლამოში დაგვიანებული მყიდველები შემოდიან. ალბათ, სტუმრად მიდიან და ახალ წელს ხელცარიელნი ხომ ვერ მივლენ!

— მოგწონთ? — ეკითხება მათ გამყიდველი და ტორტს აჩვენებს. მაგრამ პასუხს როდი უცდის, ლოცავს:

— ასეთი ტკბილი-ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის!...

— უკვე 12 საათია? გმადლობთ, ჩვენც მოგილოცავთ!

(სურ. № 1).

— ის-ის იყო ამ ტელეგრაფისტებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და ახალი წელი მიულოცეს, რომ კიდევ აპარატებისკენ მიტრიალდნენ.

— ელაპარაკეთ სოხუმს!

— ელაპარაკეთ მოსკოვს!

და უსასრულო მავთულებმა თან წაიღეს მილოცვები, კეთილი სურვილები, იმედები. (სურ. № 2).

თუმც საცხობ საამქროში გაბმული ხმაურია, მაგრამ ახალი წლის მობრძანება როდი გამოეპარათ. ქალიშვილმა რომ ცხელი პურები გამოიღო, მეგობრებმაც დაუძახეს:

— მრავალ ახალ წელს, ანიკო! (სურ. № 3).

ტალანში სიჩუმეა. მხოლოდ კანტიკუნტად გაისმის მორიგე ექიმის ფეხის ხმა. მოდის და თან მოაქვს ფიქრები ავადმყოფებზე, ფრთხილობს ძილი არ გაუფრთხოს პალატებში მყოფთ. მაგრამ იქნებ ზოგრს არც კი სძინავს, სულ რამდენიმე წუთის წინ ხომ ახალი წელი მოვიდა. მორიგეც კარებთან შედგა: შევა, დახედავს, იქნებ ვინმეს რამე უჭირს? თუ ვინმე ფხიზლობს, მას ახალ წელს მიულოცავს.

(სურ. № 4).

მიქრის მატარებელი და თბილისელ მგზავრებს მოსკოვისაკენ მიაქროლებს. უკანასკნელ კილომეტრებს გარბის იგი ძველ წელიწადში. მაგრამ აი, ახალმა წელმა მოსახვევში მოუსწრო. იქნებ შეჩერდეს და ისე მიესალმოს? მაინც მიჰქრის. ანგარიშს არ უწევს არაფერს. სამაგიეროდ ახალმოსულს მგზავრები მიესალმებიან — თუ ჩვეულებრივ ამ დროს ვაგონში სძინავთ ხოლმე, ახლა ყველა კუპეში ლხინია.

მერე რა რომ მგზავრობენ? ვაგონ-რესტორანშიც შეიძლება შევხვდეთ ახალ წელს.

— ახალ წელს მოგილოცავთ, — ისმის ყოველ მხრიდან და ჰიქებიც წკრიალებენ. (სურ. № 5).

განა შეიძლება ერთსა და იმავე დროს ყველა ოჯახში იყო, ყველა გხედავდეს, ყველას ულოცავდე ახალ წელს? რასაკვირველია! აი, ჩვენი დიქტორი ხომ ყველა საახალწლო სუფრასთანაა. (სურ. № 6).

ტექსტი ლია კაკაბაძისა

# ვინ არ მოელის ოცნებათა, მიზანთა ფრთების შესხმას...

მას შემდეგ, რაც პირველი პაწია პაციენტი მეწვია, მრავალი ახალი წელი გამითენდა. რომ ჩვენი ბავშვები ყოფილიყვნენ მუდამ მცინარნი, სიცოცხლით სავსენი, ჯანსაღნი, რომ არცერთ დედას არ განეცადა შვილის დაღუპვის სიმწარე—აი, ფიქრები, რომლითაც ვიწყებდი ყოველ ახალ წელს. ბავშვებზე ზრუნვაში წელიწადებმა თოვლის ფანტელი გადმომაყარეს თავზე, მაგრამ საზრუნავი როდი გამომელია.

ეს ახალი წელიც სიცოცხლის სიყვარულით დავიწყე. 1958 წელს გეგმაში მაქვს გამოვაქვეყნო ნაშრომი, რომელშიც ვასაბუთებ მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობისას დღეღამის განმავლობაში სუფთა ჰაერით სარგებლობის მნიშვნელობას. ამ საკითხს ვსწავლობდი მთელი 25 წლის მანძილზე, ამისათვის შემოვიარე საქართველოს ყველა კუთხე. ნაშრომში მომყავს მაგალითები კლინიკის მუშაობიდან, კერძოდ, ტუბერკულოზით, რევმატიზმით და რახიტით დაავადებულთა მკურნალობიდან. გამოსაქვეყნებლად მზადა მაქვს ნაშრომი პედიატრიის ისტორიის შესახებ.

**მ. უგრელიძე,**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ხელნაწერებზე დახრილა ქართველი ქალი... ეს მისი ახალი რომანია. წელთა მანძილზე ნაღვაწი და ნასათუთევი. «თბილისის ცის ქვეშ» ეწოდება მას და ჩვენს კეკლუც დედაქალაქს, მის კეთილ ადამიანებს, მის ლამაზ სინამდვილესა და ნათელ მომავალს მიუძღვნა იგი თინათინ დონჯაშვილმა.

და მწერალ ქალსაც გულს ესახება იმედი, რომ წელს ქართველი მკითხველი გადაშლის მის ახალ რომანს.



თ. შარაძენიძე



თ. დონჯაშვილი

ილიმება ახალი წელი, მის განთიადს მისჩერებია სათნო სახის ახალგაზრდა ქალი, დიდი ნათელი თვალებით... მეცნიერების გზაზე ჩაფიქრებით და დინჯად მავალი.

იგი კვლავინდებურად, ჩვეულებრივი გულისთრთოლვით ეახლება თავის სტუდენტებს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტობიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორამდე ღვაწლსა და შრომაში განვლო წლები.

წინ კიდევ დიდი გზაა, მიზანიც დიდი აქვს თინათინ შარაძენიძეს... ამ ახალ წელს კი ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს შეემატება მისი ახალი მონოგრაფია «ენათა კლასიფიკაციის პრინციპები».



ამბობენ, ქალის ჩაცმა-დახურვა თავისებური ხელოვნებააო. ამაში უთუოდ არის სიმართლე. ვის თვალს არ ახარებს გემოვნებით მორთულ-მოკაზმული მანდილოსანი! და ამიტომაც მოუნდომებია ასე თავგამოდებით ჩვენი აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივს ახალ წელს უხვად მიუძღვნას ქალებს ახალ-ახალი ფარჩა-აბრეშუმი.

«შიფონი», «პიკე», «კრეპსატენი», «კრეპდეშინი», «დუბლსატინი», ახალი სახის «სახალათე» და მრავალი ნაირ-ნაირი ქსოვილი ორასი ათასი სახის სურათით, ათასი სხვადასხვა კოლორიტული გაფორმებით იხატება, იქარგება, იქსოვება საქართველოს მომხიბვლელი ქალების დასამშვენებლად. ეს ქსოვილები მოეფინება საბჭოეთის ყოველ მხარეს, წავა ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში... გაიგზავნება ბრიუსელში მსოფლიო გამოფენაზე.

და რა კარგია—ახალ წელს ახალი, თბილისური ფარჩეულით შეივსება ჩვენი და უცხოელი ქალების სამოსი.



ვარვარა კარბოვსკაია

# საახალწლო სიურპრიზი

მხატვარი რ. ცუცქირიძე

გვიანი საღამოა. ვეებერთელა გასტრონომიულ მაღაზიაში სადღესასწაულო გამოცოცხლებაა. ფართოდ გაღებულ კარებში უამრავი ხალხი შედის. დახლებს იქით თეთრხალათიანი და გახამებულ ჩაჩებიანი გამყიდველები ფუსფუსებენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსაკუთრებული სისწრაფით ყიდიან საქონელს, დახლებთან მაინც დიდი რიგები დგას.

საათნახევრის შემდეგ ახალი წელი დადგება.

საკონდიტრო განყოფილებაში დახლის მინაზე მიწოლილი საშუალო ტანის მოხდენილი მამაკაცი დგას. იგი დინჯი და აუჩქარებელია. მისი გაჩერილი ქუდი უკვე ათი წუთია ასვეტილა დახლს ზევით და მოთმინებიდან გამოყავს თავიანთი რიგის მომლოდინე მუშტრები. ახლა ხომ ყოველი წუთი საანგარიშებელია:

— ეს ვიღაც, რომ გაშეშებულა, რას უცდის ნეტავ? მოქალაქევ, ამოირჩიე ჩქარა. ტორტია, განა პალსტუხია?!

მაგრამ ის აუღელვებლად დგას და ყურადღებას არავის აქცევს.

— მომეცით შოკოლადის კამფეტებიანი კოლოფი, რომელიც ასთორმეტი მანეთი ღირს და ტორტი, მხოლოდ ეს კი არა, აი ის, კრემის ვარდებიანი.

დაბოლოს, მიიღო მან თავისი კოლოფები, მოშორდა ხალხს და ქუჩაში გავიდა. რბილად ცვივა თოვლის ფიფქები, თეთრი პეპლებივით რომ ტრიალებენ ფარნის შუქზე. მამაკაცი ტაქსების გაჩერებისაკენ გაეშურა, იქ არცერთი მანქანა არ აღმოჩნდა. დღეს შოფერებს გაცხარებული მუშაობა აქვთ. რა ქნას? შორს უნდა წავიდეს, ველარ მოასწრებს... უნდა მოასწროს კი აუცილებლად, ამაღამდელ ღამეზე იგი დიდ იმედებს ამყარებს, ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენ ფულს როგორ დახარჯავდა. ნინას უყვარს შოკოლადის კამფეტები და მან ყველაზე ძვირიანი იყიდა. თუმცა ნინას კამფეტებით ვერ გააკვირვებ, მას ყველაფერი ბევრი აქვს, მაგრამ ქალიშვილს მოეწონება მამაკაცის ასეთი ყურადღება. ის, სერგეი ბორისოვიჩ პრობკინი, დიდიხანია ოცნებობდა ასეთ ქალიშვილზე. ბევრი მარცხი მოსვლია მას ცხოვრებაში, მაგრამ ახლა რა დროს უსიამოვნებათა მოგონებაა, ან რა საჭიროა. მართალია, ნინა ულამაზოა: დიდი ცხვირი, პატარა თვალები, დაბალი და უშნო ტანი აქვს, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. რაც მთავარია, ნინა ცნობილი გენერლის ქალიშვილია, საუკეთესო ბინაში ცხოვრობს, მათ მოსკოვის ახლოს აგარაკი აქვთ და საკუთარი ავტომანქანა ჰყავთ, მგონი, ორი მანქანა უნდა ჰყავდეთ—პირდაპირ გასაგიჟებელია! სერგეი ბორისოვიჩს საშინლად მობეზრდა თავისი ცარიელი, ბინძური, პატარა ოთახი, ავტობუსებით ჯაღჯაღი, მობეზრდა უმნიშვნელო დაწესებულებაში რიგით ეკონომისტად მუშაობა. რა თქმა უნდა, მუშაობით უნდა იმუშაოს, მაგრამ, ალბათ გენერალი მამიკო მას სამინისტროში გადაიყვანს. მთელი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ მშობლები მოხიბლოს. ნინა თითქოს უკვე მოხიბლა. ერთხელ ნაცნობებთან შეხვდა. სამჯერ პაემანი დაუნიშნა, ისეირნეს, კინოშიც ერთად იყვნენ. ბოლოს რა სათნოდ უთხრა: «უსათუოდ უნდა მობრძანდეთ ჩვენსას, დედ-მამა უნდა გაიცნოთ». მას კი აქვს იმისი უნარი, რომ ქალებს თავი მოაწონოს. დიახ! ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, ძველი მთლიანად დაივიწყოს.

მაგრამ ტაქსი რომ აღარსად ჩანს. მანქანებს პირდაპირ ქუჩაში იჭერენ. იქით ტროტუართან რაღაც მანქანა დგას, მაგრამ ის ტაქსი კი არა, ალუბლისფერი «მოსკვიჩია». მანქანასთან მიიჭრა, მაგრამ «მოსკვიჩი» ცარიელი აღმოჩნდა. არ გაუმართლდა. ამ დროს «მოსკვიჩთან» ნატის ქურთუკში გამოწყობილი ბეწვისქუდიანი ქალი მივიდა, კარი გააღო და საჭესთან დაჯდა.

«ეს ვიღაცის საკუთარი მანქანა უნდა იყოს, —ფიქრობს სერგეი ბორისოვიჩი,—შოფერი ქალია, იქნებ წამიყვანოს».

—ამხანაგო შოფერო,—მიმართავს იგი მლიქვნელური და შემპარავი ხმით (ქალებს შემპარავი ტონით უნდა ელაპარაკო, თუ გინდა ყურადღება დაიმსახურო). —აქ ტყუილა დგომას, არ ჯობია ცოტა ხნით გაისეირნოთ?

ქალმა ისე სწრაფად შეათვალიერა იგი, რომ სერგეი ბორისოვიჩმა ვერც კი მოასწრო მისთვის სახეზე შეეხედნა.

—თქვენ საით?—მოკლედ ჰკითხა ქალმა.

— მოჟაისკის გზატკეცილზე,—და ახლადაგებული სახლის ნომერი დაუსახელა.

— საინტერესო დამთხვევაა, მეც იქით მივდივარ. დაჯექით!

სერგეი ბორისოვიჩი სიცილით ჯდება მანქანაში.

— გთხოვთ უკან დაბრძანდეთ, აქ ნავაჭრი მიწყვია,—ეუბნება ქალი.

სიამოვნებით დაჯდებ . უკან, ოღონდაც წაიყვანოს. რაო, დამთხვევააო? დამთხვევა არა! ეტყობა ფული აინტერესებს. თუმცა მაინცადამაინც ნუ უხარია, ბევრს არაფერს გაიმეტებს, ისედაც ბლომად დახარჯა მაღაზიაში.

მანქანა დაიძრა და ელნათურებით გაჩირაღდნებულ ქუჩაში მიჰქრის, შემდეგ უხვევს. საინტერესოა, რატომ შეუხვია? ხომ სულ პირდაპირ უნდაევლო...

— ამხანაგო შოფერო, საყვარელო ქალიშვილო, რატომ შეუხვიეთ?

— მე იქითკენ მივდივარ, საითაც საჭიროა,—პასუხობს შოფერი.

რა საოცრად ნაცნობი ხმაა და რა უსიამოვნების მომგვრელი.

ახა! ნუთუ ეს ანაა? შეუძლებელია... მაგრამ ხმა? სერგეი ბორისოვიჩი ადგილზე ცქმუტავს, ცდილობს გვერდიდან მაინც შეხედოს შოფერს სახეზე. თუ ეს ანაა, მაშინ მართლაც მეტად არასასიამოვნო დამთხვევაა. კიდევ ერთი ზნელი მოხახვევი და შოფერი პროფილით შემობრუნდა.

ეჭვი არ არის, ეს ანაა! ნუთუ მანაც იცნო? ხომ არსებობს ხოლმე ასეთი საახალწლო სიურპრიზები! ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ეს სიურპრიზება სულაც არ ყოფილიყო!..

რამდენი ხანი იქნება რაც ერთმანეთი არ უნახავთ? ათი წელი. ნეტავ გოგონა თუ არის ცოცხალი... რა ჰქვიოდა?.. ოლია. ახლა იგი მეთორმეტე წელში იქნება. ანას ხომ არავითარი პრეტენზიები არა ჰქონია მის მიმართ, როცა ერთმანეთს განშორდნენ... უფრო სწორად, კი არ განშორდნენ, მამაკაცი უდავიდარაბოდ ადგა და წავიდა სახლიდან. დიახ, წავიდა იმიტომ, რომ უმძიმდა ოჯახური ცხოვრება, მის წინაშე, ასე ვთქვათ, ახალი ჰორიზონტი გადაიშალა, მათი ქორწინება შეცდომა აღმოჩნდა. განქორწინება გაფორმდა, მაგრამ იქნებ ქალი დაეძებდა შემდეგ მას? და ახლა, როდესაც ცხოვრებამ თითქოს გაუღიმა, ასეთი უეცარი შეხვედრა!? ისლა აკლია, რომ მანიასა და კლანიასაც შეხვდეს!.. თუმცა არც ერთთან და არც მეორესთან შვილი არ ჰყოლია და მათ სალაპარაკოც არაფერი აქვთ. მაგრამ ეს... ნეტა სადღა მიდის, ეშმაკმა წაიღოს ამისი თავი!

— ამხანაგო შოფერო, გესმით!

«აჰ, მგონი იცინის,—ფიქრობს გულში სერ-

(დასასრული იხ. მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოცეკვავეები საფრანგეთში

ფოტო ი. ხალიპისა.



მაყურებლები საკონცერტო დარბაზ «ალგამბრაში», სადაც მიმდინარეობდა ქართული ანსამბლის გამოსვლები.

მონგარიშებული და აწყობილი, რომ ყველაზე უფრო ცხარე შეტაკებებსა და ცალკეული ნომრების უსწრაფეს კალეიდოსკოპში კაცს უძნელდება ამ სასწაულმოქმედი ხელოვნების მექანიზმისათვის თვალისდევნება,

არაფერს არ შეუძლია ამ ნიაღვართან, ამ მწყობრ დისციპლინიან ქარბუქთან ისეთი კონტრასტის მოხდენა, როგორც მოცეკვავე ქალთა მდორე მოძრაობებს, ქალებისა, რომლებიც ამ ფერხულში ფერიებივით დასრიალებენ.,.

ნამდვილად შესანიშნავი, წარმტაცი და ამაღელვებელი წარმოდგენაა, რომლის ფონზე ჩვენ უშნოდ, უბადრუკად და დამამცირებლადაც კი გვეჩვენება თეძოების უხამსი ქანაობა, ისტერიულობა და არაჯანსაღი ხასიათი ჩვენი უახლოესი ქორეოგრაფიული «მიღწევებისა».

**გი დორნანი.**

«ლიბერასიონი».

როდესაც ქართველი გლეხი-ქალები თავიანთ თეთრ ტანსაცმელში ისე მოძრაობენ, რომ ფეხებით მიწას არ ეხებიან, ჩვენ მღელვარებით ვფიქრობთ ახალი კლასიკური ცეკვის დაბადებაზე.

ნამდვილი საცეკვაო ხელოვნება რომ გაიცნო, კავკასიური ცეკვების ანსამბლის ნახვაა საჭირო.

**ვილი გიბუ.**

«ფრანს-სუარი».

კავკასიური ფოლკლორი არაჩვეულებრივი კეთილშობილებითა და ორიგინალობით ხასიათდება. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია თვალი შევავლოთ მეომართა კლასიკურ კოსტიუმებს. ჩვენს წინ არის მოცეკვავე ოქრომკედით ნაქარგ ელეგანტურ შავ კამზოლში. ვიწრო წელი, მკერდი—შემკული პატრონტაშებით, ფეხებზე—ლამაზი, რბილი ჩექმები, შუბლზე ჩამოწეული ბეწვის ქუდი, ყველაფერი ეს მას ამაყ, არისტოკრატულ იერს აძლევს. მის სახუმარო ცეკვებში ბევრია სიცოცხლე და გონებამახვილობა, საბრძოლო ცეკვები კი გვანცვიფრებენ და გვატყვევებენ. მათი ვირტუოზულობა პირდაპირ დაუჯერებელია. აქ არის ატლეტების ვაჟკაცობაც და ცერებზე ცეკვის დახვეწილი მოძრაობებიც. სპექტაკლის დინამიკა განსაცვიფრებელია.

ამ ცეკვებში, ხალხის წიაღში რომ აღმოცენებულა, ყველაზე უფრო გვანცვიფრებს რაინდობა და თავაზიანობა ქალების მიმართ...

ახალგაზრდა ქალების კაბები ჩვენ გვაგონებენ საუცხოო ყვავილების ფურცლებს და გვეჩვენება, რომ თვითონ ისინი ჰაერში დაცურავენ და ფეხის წვერითაც კი არ ეხებიან დედამიწას. ჰარმონიულ ფერხულებში ისინი ფერიებს გვანან და საკმარისია მათი პატარა ხელის ერთი ჟესტიც კი, რომ შეწყდეს ყველაზე ცხარე შებრძოლება.

**ემილ ვილერლიუზი.**

«პარი-პრესი».

ვის შეუძლია აღწეროს ბობოქარი და ამასთან ერთად, პოეტური ხალხის აღტკინება? ამისათვის საჭიროა ილაპარაკო ორმოცდაათი მოცეკვავე—«სპუტნიკის» ღიმილზე, მათ ყოველ ნაკვთზე, მოცეკვავეებისა, რომელთა ულვაშების დავიწყება შეუძლებელია. ამ ორმოცდაათი ატლეტისათვის სცენა სხვა არა არის რა, თუ არა ტრამპლინი, რომელსაც ისინი დასახული მიზნისაკენ მიჰყავს.

როდესაც ჩვენ ვხედავთ ატლეტებს, რომლებიც მუხლებზე ისე თავბრუდამხვევად ცეკვავენ როგორც ნამდვილი ვირტუოზები, როგორც პროფესიონალი აკრობატები, გვინდა ვილოცოთ.

ქართველი მოცეკვავეები ფრანგული ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა შორის. წინა პლანზე: მარცხნიდან მეორე—ბალერინა **ლიუდმილა** ჩერინა, ნინო რამიშვილი, სიმონა სინიორე, ივ მონტანი და სხვები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გეი,—იქნებ სურს სადმე ქალაქის ბოლოს წამიყვანოს, ან გააქანოს მანქანა ისე, რომ მიახეთქოს რამეს, თვითონ გადმოხტეს და მე კი სული გამვარდეს... ოო! შეურაცხყოფილ ქალებს ბევრი რამ შეუძლიათ! სერგეი რომ ქალმა იცნო, ეს აშკარაა. რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა დაიყოლიოს თავის ნებაზე ეს გადარეული!

ამ დროს შოფერი შემობრუნდება და ძალზე მშვიდად ეუბნება:

— ხომ არ ღელავთ, სერგეი ბორისოვიჩ, რომ არასწორი გზით მიმყევხართ?

სერგეი ბორისოვიჩი სახეზე გულწრფელ გაკვირვებას გამოხატავს.

— ანია?!

ქალი უსწორებს:

— ანია კი არა, ანა ნიკიტიშნა.

— დიახ, დიახ,—მლიქვნელურად უდასტურებს იგი,—ანა ნიკიტიშნა! რა კარგია, რომ შევხვდით, რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს! თქვენ არ დამიჯერებთ, მაგრამ გულწრფელად მიხარია. მე ხომ პირველ ხანებში დაგეძებდით? და მხოლოდ მაშინ, როცა უკვე დავკარგე იმედი...

— თქვენ დაგვეძებდით? აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!..

ქალი იღიმება. ეტყობა ანას არცერთი მისი სიტყვა არ სჯერა. მაგრამ რამე ხომ უნდა ელაპარაკოს, რომ მანქანა არ დაამტვრიოს ან სადმე საშიშ ადგილას არ წაიყვანოს...

— დიახ, დაგეძებდით! თქვენ კი, როგორც ჩანს, აქ ცხოვრობთ, მოსკოვში. ამას არ ველოდი. ციმბირში, ქარხანაში მუშაობას თავი გაანებეთ და შოფრად მუშაობთ? რა უშავს, არც ესაა ცუდი პროფესია.

ქალი დუმს, მანქანა მიჰქრის.

— ოლიჩკა როგორ არის?—ეკითხება რაც შეიძლება ალერსიანად.

— ოლიჩკა მეხუთე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა,—ეუბნება ანა.

მანქანა მკვეთრად უხვევს.

«რამეს მიახეთქებს და დაამტვრევს» — ფიქრობს შეშფოთებული სერგეი ბორისოვიჩი. ერთ-ერთ შეკვრას ხელს წაავლებს. შიგ მგონი ასთორმეტმანეთიანი კამფეტია, მაგრამ სიცოცხლე ხომ უფრო ძვირად უღირს, გადაიხრება და შოფერს უდებს გვერდით,

— ეს ოლიჩკას მიუტანეთ საახალწლოდ.

— წაიღეთ უკან!—ეუბნება ანა,—ოლიას ყველაფერი აქვს, თქვენი არაფერი ჭირდება.

— არა, არა,—სულს ძლივს ითქვამს სერგეი ბორისოვიჩი.—თქვენ სად გაქვთ იმის საშუალება, რომ ბავშვს ძვირფასი კამფეტები უყიდოთ. ეს ჩემგან მიუტანეთ. ვახსოვარ?

— რატომ უნდა ახსოვდეთ? — ეკითხება ანა.—იმას თქვენს შესახებ არასოდეს არაფერი სმენია. ახლა მას ნამდვილი, მოსიყვარულე მამა ჰყავს.

«ეს უკეთესია,—სერგეი ბორისოვიჩს გულზე მოეშვა.—ალბათ, ქმარიც შოფერი ჰყავს, არც მანქანას დაამტვრევს და არც სადმე გამიტაცებს»—ფიქრობდა ის.

— მაშასადამე, გათხოვდით, ანა ნიკიტიშნა? რაღა თქმა უნდა, მე საყვედურს ვერ შეგკადრებთ...

— ცხადია! ეგღა მაკლია!

— თვალი რომ თვალს დაშორდება, გული გადასხვაფერდება,—განაგრძობს იგი წინანდებური ალერსიანი და სევდიანი ტონით. «ოღონდ ჩქარა მიმიყვანოს, მივცემ თუმნიანს და მშვიდობით.»—მე კი თქვენ ხშირად გიგონებდით, აი, დღემდე ცოლი არ შემირთავს.

მანქანა გაჩირაღდნებულ ქუჩაზე გადის.

— რატომ მატარებდით, ანა ნიკიტიშნა მოსახვევებში?—სიცილით, გულითადი მეგობარივით ეკითხება იგი.

— იქ გზის შეკეთება მიმდინარეობს და უმოკლესი გზა ავირჩიე.

აი, თურმე რა ყოფილა. მას კი ეშინოდა. რა სისულელეა! არა, ცხოვრება მას ნამდვილად უღიმის.

— თქვენც ამ რაიონში ცხოვრობთ თუ?—განაგრძობს ის საუბარს თავის ყოფილ ცოლთან. ახლა აღარ ეშინია.

— დიახ, მე იმავე სახლში ვცხოვრობ, სადაც თქვენ მიბრძანდებით. ასეთი უცნაური დამთხვევაა... იმიტომაც დაგეთანხმეთ წამოყვანაზე. რატომაც არა... ჩვენ ხომ ძველი ნაცნობები ვართ?

— ჩინებული სახლია!—წამოიძახებს სერგეი ბორისოვიჩი.

— ჰო, არა უშავს რა,—ეთანხმება ანა.

«ტყუის, იმ სახლში ვცხოვრობო,—ფიქრობს სერგეი ბორისოვიჩი,—მე ძალიან კარგად ვიცი, რომ იქ აკადემიკოსები და სამხედროები ცხოვრობენ და არა შოფრები, თუმცა, იქნება ეზოში ცხოვრობს...»

— ბინა გაქვთ თუ ოთახი?—გამოკითხა მან.

— ბინა მაქვს, მერვე სართულზე,—ეუბნება ანა.

— მ-მერ-ვე სართულზე?

აი, ეს კი არასასიამოვნოა. გენერალი ივანოვიც მერვე სართულზე ცხოვრობს. იქნება ანა კიდეც იცნობს ნინას? ვაი, თუ რამე უთხრას!.. ეჰ, რაც იქნება, იქნება, გულახდილად უნდა იმოქმედოს!.. ანამ ხომ მოაწყო თავისი ცხოვრება და სერგეი ბორისოვიჩსაც უნდა ცხოვრება მოაწყოს. რა იქნება, რომ გენერალი ახსენოს, უთხრას, რომ იგი გენერალთან მეგობრულ დამოკიდებულებაშია? ტყუილის



გამორევაც შეიძლება ხანდახან. ხომ არ დაუწყებს გენერალს გამოკითხვას!? მერვე სართული ძალიან დიდია. არ შეიძლება ნინა იცნობდეს ისეთ უბრალო ქალს, როგორიც ანაა. არა, უნდა უთხრას.

— მე გენერალ ივანოვისას მივდივარ ახალწლის შესახვედრად.

ამ დროს მანქანა კიდეც ჩერდება სახლთან. ანა განცვიფრებული სახით შემობრუნდება სერგეი ბორისოვიჩისაკენ.

— ივანოვისას? კი მაგრამ... ნება მომეცით შეგეკითხოთ, ვინ მოგიწვიათ?

— როგორ თუ ვინ?—ქედმაღლურად ეუბნება სერგეი ბორისოვიჩი.—მე კარგი ნაცნობი ვარ...

— ვისი?

მიუხედავად იმისა, რომ მანქანაში ცხელოდა, სერგეი ბორისოვიჩს ციებმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ანა კი მშვიდად და აუჩქარებლად ამბობდა:

— ეს სახლი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ჩემი სადიპლომო ნაშრომია. მე ხომ ახლა არქიტექტორი ვარ. სრული გარკვევისათვის ორიოდე სიტყვა კიდევ მინდა გითხრათ ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე წლის წინათ ცოლად გავყევი ქვრივ გენერალს ივანოვს. სხვა ივანოვი ჩვენს სართულზე არ ცხოვრობს. ასე და ამგვარად, მე საბაბი მაქვს დავასკვნა, რომ თქვენ გინდათ ახალ წელს შეხვდეთ სწორედ ჩემს ოჯახში, მაგრამ... მე თქვენ არ გპატიჟებთ, სერგეი ბორისოვიჩ!..

პაუზა... სერგეი ბორისოვიჩს უნდა უჩქმიტოს თავისთავს, გამოიღვიძოს და დარწმუნდეს იმაში, რომ ეს მხოლოდ საახალწლო ღამის არასასიამოვნო სიზმარია. მაგრამ ვაი, რომ ეს სიზმარი არაა! ანა განაგრძობს:

— თუ ჩემმა გერმა ნინამ გამოიჩინა გაუფრთხილებლობა, გაგიცნოთ და ოჯახშიც მოგიწვიათ, მე ვეცდები ავუხსნა, რომ იგი შემცდარა.

სერგეი ბორისოვიჩის დაბნეული სახის დანახვაზე ანას სიცილი წასკდა.

— თქვენ გეუცნაურებათ, რომ მე არქიტექტორი ვარ? თუ უფრო ის განცვიფრებთ, რომ გენერლის ცოლი ვარ?.. შოფერი გეგონეთ? არა, ეს ჩემი მანქანაა. გენერლისა კი არა, ჩემი საკუთარი. ასე რომ თქვენ აქ მოყვანისათვის ფული არ გადაგხდებათ. უკან კი როგორც გენებოთ, ისე წაბრძანდით...

ათრთოლებული ხელით აიღო სერგეი ბორისოვიჩმა თავისი კოლოფები. მანქანამ საყვირი მისცა და ეზოში შესრიალდა.

... ახლა ფიფქები მსუბუქ პეპლებივით აღარ ფრინავდნენ, წყლით სავსე თოვლი მოსაბეზრებლად სცემდა პირდაპირ სახეში. სერგეი ბორისოვიჩი იდგა ტროტუარზე და თავს ისე გაუბედურებულად გრძნობდა, როგორც ერთ ძველ ზღაპარში ახალი წლის ღამეს ბიჭუნა, იმ განსხვავებით, რომ მას ხელში კრემის ვარდებიანი ტორტი და ყველაზე ძვირფასი შოკოლადის კამფეტებიანი კოლოფი ეჭირა.

თარგმნა **ფატი ნიჟნიანიძემ.**

# ეკატერინე ბაღდავაძე

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ამას წინათ მოეწყო ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ეკატერინე ბაღდავაძის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ორასამდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

ეს გამოფენა ბაღდავაძის შემოქმედებითი განვითარების ნათელ სურათს იძლევა და თვალსაჩინოდ ხდის იმ ევოლუციას, რომელიც განიცადა მხატვრის შემოქმედებამ ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. გავიხსენოთ, რომ მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1947 წელს მოეწყო.

ეს მეორე გამოფენა მეტად შინაარსიანი, თემატიკურად და ჟანრობრივად მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ ბაღდავაძის ნახატები თავისი არაჩვეულებრივი ხაზობრივი გრაციოზულობით, შესანიშნავი კოლორიტული სიფაქიზით, სიმდიდრითა და ორიგინალობით.

ჩვენი აზრით, ე. ბაღდავაძე იშვიათი ფერმწერალი და კოლორიტის შეგრძნობის უდიდესი ნიჭით აღჭურვილი შემოქმედია. მას თავის ხელოვნებაში მაღალნიჭიერი პროფესიონალის დახვეწილი ოსტატობითა და ნატიფი მხატვრული გემოვნებით აქვს გამოყენებული ის, რაც ყველაზე საუკეთესოა ქართული და საერთოდ მსოფლიო კლასიკური მხატვრების მემკვიდრეობაში.

სამამულო ომის თემაზე ე. ბაღდავაძემ 1946 წელს შექმნა ბრწყინვალე ფერწერული ტილო „გამარჯვების დღის ზეიმი". ამ კომპოზიციაში ყურადღებას იქცევს, როგორც თემის ორიგინალური გადაწყვეტა, ისე მაღალი პროფესიული ოსტატობის მიზანდასახულობა. ფერწერის ხერხებს მხატვარი იყენებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება გასაგებად უამბოს მნახველს თავის ნაწარმოებში იმ უსაზღვრო სიხარულზე, რომელიც განიცადა საბჭოთა ხალხმა ფაშიზმზე გამარჯვების მოპოვებით. საქართველოს ლამაზი ბუნების ფონზე ამაყად დგანან გამარჯვებული საბჭოთა ხალხის ღირსეული წარმომადგენელნი, ფრონტიდან ახლად დაბრუნებული სამამულო ომის გმირი და კოლმეურნე ქალები. იდეური მიზანსწრაფვა, მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე, ტექნიკური შესრულების მრავალფეროვანება შეადგენს ამ ნაწარმოების დამახასიათებელ ნიშანს.

ე. ბაღდავაძე პორტრეტული ჟანრის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატია. პორტრეტთა შორის განსაკუთრებული მიმზიდველობით გამოირჩევა მაგალითად: „მაია", „მირანდა", „შავთვალა", „ძმები", „მოხუცი". თავისი რეალისტური დამაჯერებლობით, პოეტური განწყობილებითა და ნათელი წარმოსახვით ეს ნაწარმოებები ძლიერ შთაბეჭდილებას



შავთვალა



სევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდიელი გოგონა



მტვირთავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შრომის გმირები

ახდენენ. მათში იგრძნობა ლირიზმის სითბო, სახეთა ფსიქოლოგიური და ეროვნული გამომსახველობა. ეს პორტრეტები მხატვრის მიერ შესრულებულია მარჯვე ოსტატობით, ფერწერის მაღალი ტექნიკით. მხატვარს ჩანს უყვარს პეიზაჟი, მაგრამ ბალდავაძე მას მხოლოდ თავისი ფიგურალური კომპოზიციების ფონად იყენებს. ისიც უნდა ითქვას, რომ შემოქმედს გააჩნია მშობლიური ბუნების მხატვრულად შეგრძნობის უნარი და შესწევს მისი გასულიერების ძალაც.

მაღალ შეფასებას იმსახურებენ ისეთი ტილოები როგორიცაა, მაგალითად, „პუშკინი საქართველოში", „აკაკისთან შეხვედრა", „აკაკი სხვიტორში", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „მეგობრებთან", „ნინო გრიბოედოვა წინანდალში". ისინი გამოფენის თვალსაჩინო ექსპონატებია განა მარტო შინაარსით, მაღალმხატვრული შესრულებითაც.

ნაწარმოებებში „დედა ბავშვით", „მწუხარება", „სევდა", „მეტოქენი" ნათლად მოჩანს ე. ბალდავაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი საინტერესო კოლორიტული თავისებურება, ძლიერი ემოციურობა, მკვეთრი გამომსახველობა და პერსონაჟთა ეროვნული იერი, ეს თვისებები ახასიათებს თვით კომპოზიციის გადაწყვეტას, ამა თუ იმ პერსონაჟის პოზას, მიხვრა-მოხვრას, აქსესუარების გამოყენებას, დეტალების დამუშავებას.

ეკატერინე ბალდავაძე ნაყოფიერად მუშაობს წიგნის გრაფიკის დარგშიც. მას აქვს მთელი რიგი შესანიშნავად გაფორმებული წიგნები. განსაკუთრებული მხატვრული გააზრებითა და შესრულების ფერწერილობით გამოირჩევა „ბურატინოს" ილუსტრაციების სერია. ეს აკვარელები იზიდავს მნახველს ნახატის მკაფიობით, მოხდენილობით, გრაციოზულობით, ფერადი გამების არაჩვეულებრივი ორგანიზებულობით და ცხოვრებისეული სიმართლით.

ე. ბალდავაძის გამოფენას ერთი თვის მანძილზე დიდძალი მნახველი ჰყავდა. ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ამ მშვენიერ გამოფენაზე წარმოდგენილ თვითეულ სურათში გამოსჭვივის მხატვრის დიდი ტალანტი.

„მხატვრის ფერწერას თავისებური მანერა და პლასტიკურობის ეროვნული შეგრძნობა ახასიათებსო" — სწერს ერთი მნახველთაგანი შთაბეჭდილების წიგნში. იმავე წიგნში არა ერთსა და ორ ასეთ ღირსშესანიშნავ შეფასებას ნახავთ.

ჩვენ გვწამს, რომ ე. ბალდავაძე არ შეჩერდება მიღწეულზე, ის მეტი პასუხისმგებლობით განაგრძობს მუშაობას, როგორც თავისი იდეური, ისე პროფესიული ზრდისათვის.

ნინო გუდიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადონა გორგაძე

# მე და მიშიკო

მხატვარი თ. მაცაბერიძე



მოთხრობა

მიშიკოს შორიდან ვიცნობდი. მისი ქება ხშირად გამიგონია. შესახედავადაც არაა ურიგო ყმაწვილი, მაგრამ მის გვერდით მოხვედრა იმ საღამოს განსაკუთრებით არ გამხარებია. მე მაშინ ჩემს დაკარგულ გატაცებას თუ ჟინიან აჩემებას მივტიროდი და არაფერი არ მართობდა, არ მახალისებდა. ვიყავი მოწყენილი და გულნაკლული.

იმ ქორწილში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჭრელი საზოგადოება შეყრილიყო. ჩემს პირდაპირ ვიღაც ლამაზი ძია კაცი იჯდა, რომელიც შუბლითა და თვალწარბით, თუ საერთოდ მთელი სახის იერით იმ ჩემს გატაცებას მაგონებდა. მთელი ღამე იმის ყურებაში ვიყავი და იარებს ვიღიზიანებდი. მაგრამ ისიც შევამჩნიე, რომ მიშიკო დროდადრო თავს ოდნავ უკან, ოდნავ განზე გადასწევდა და თითქოს ცნობისმოყვარეობითა და რაღაც იდუმალი ღიმილით მაცქერდებოდა.

იმ ღიმილმა და ბეცი თვალების გამომეტყველებამ ჩემი ყურადღება მიიპყრო და ბოლოს მხედველობიდან არ მრჩებოდა არც ერთი მისი მოძრაობა. ხანდახან გამომელაპარაკებოდა. მომწონდა, რომ თავს მაინც და მაინც არ იწუხებდა სასაუბრო მასალის ძებნით და უფრო ჩემს თვალიერებას ამჯობინებდა. საიდანღაც „შიპრის“ სუნი მცემდა. ეტყობა ლამაზი ძია-კაცის მეზობელს, ლიპიან მელოტ კაცს ეპკურა. ცხვირსახოცს რომ ამოიღებდა და თავკისერზე მოისვამდა, სუნი იფრქვეოდა. მე „შიპრი“ არ მიყვარს, მაგრამ მაშინ იგი რაღაც სასიამოვნოდ მახვევდა თავბრუს. უცნაური ღამე იყო. ვუყურებდი პირდაპირ მჯდომ ლამაზ კაცს და გული დაკარგულს მიჰკვნესოდა. მიშიკო და ის ერთმანეთში შერეული ღვინისა და „შიპრის“ სუნი გონებას მიბინდავდა. რად იყო ასე? განა არავინ მჯდარა ჯერ ჩემს გვერდით? განა არავის უცქერია უფრო მეტისმთქმელი თვალებითაც! მიშიკო კი არც თუ ისე განსაკუთრებულია. მაშ რად იყო ასე? ისიც მაშინ, ისიც იმ ლამაზი კაცის პირდაპირ!...

ამის შემდეგ მიშიკოს უნივერსიტეტში ვხვდებოდი. დამინახავდა თუ არა, ჩემსკენ გამოექანებოდა. მე ვეგებებოდი თავაზიანი და თავშეკავებული, თითქოს მინდოდა დამერწმუნებინა, რომ თუ იმ ღამეს რაიმე მოეჩვენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მოეჩვენა და მეტი არაფერი. მაგრამ მაშინ მეც ასე ვფიქრობდი, მეგონა, რომ ყველაფერი ახალგაზრდული იმ გაუმჟღავნებელ გატაცებას გაჰყვა. ხანდახან მაგონდებოდა ის ღამე და რაღაც მენანებოდა.

ერთხელ მიშიკოს მოხსენებას დავესწარი. საინტერესო თემა იყო. მასგან ცოტას არ მოველოდი. მაგრამ რაც მოვისმინე. მოლოდინს გადააჭარბა. ამის შემდეგ. ვერ ვიტყვი. უცებ იყო თუ თანდათანობით, მიშიკოსთან შეხვედრები ჩემთვის სანატრელი და მნიშვნელოვანი გახდა. და ბოლოს იქამდე მივედი. რომ ყოველ მის სიტყვას და მოქმედებას ვატრიალებდი და ვარჩევდი. და უმნიშვნელო წვრილმანით ჩემი ბედის განაჩენი გამომქონდა.

მე და ნანამ მივაგენით და ვნახეთ ის ქალი, რომელიც თურმე ამ სამი-ოთხი წლის წინათ მიშიკოს ყვარებია. ლამაზიაო. არ ითქმოდა. მაგრამ უჩვეულოდ ნარნარი და მინაზებული არსება იყო. ამბობდნენ, გათხოვებამდე. მიშიკოს რომ უყვარდა. უკეთესი იყოო. მე რატომღაც მეგონა. რომ მას ახლაც უყვარდა ის ქალი და ვეჭვიანობდი. გული მწყდებოდა. რატომ იმდაგვარი არ გამაჩინა ბუნებამ. რაკი მიშიკოს ასეთი გემოვნება ჰქონია...

ამასობაში უნივერსიტეტი დავამთავრე და მუზეუმში დავიწყე მუშაობა. აჟრიამულებული და მოფუსფუსე უნივერსიტეტის შემდეგ მუზეუმი აკლდამად მეჩვენებოდა. მიშიკოს ვერსად ვხვდებოდი, უნივერსიტეტში საქმე არა მქონდა რა და ისე მისვლას ვერიდებოდი. მოვდუნდი და ჩავკვდი. ერთხელ ნანა მოვიდა და შემატყობინა, რომ უნივერსიტეტში ლიტერატურული ალმანახის განხილვა ეწყობოდა.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ წავყევი. მთელი საღამო გაუნძრევლად ვიჯექი. ნანა კი იქაურობას ათვალიერებდა და მერე გამოაცხადა— „ფაფუ მიხეილაო". ნაწყენი და რაღაც შეურაცხყოფილი დავბრუნდი სახლში. ეს იყო ორ დეკემბერს.

... ორი თვეა მიშიკო არ მინახავს. სამიოდე საათის შემდეგ დადგება ახალი წელი, ელისოსთან მივდივარ. იქ უნივერსიტეტის ამხანაგები და რამდენიმე ახალი ნაცნობი ვიკრიბებით. საღამო, ალბათ, შარშანდელივით მხიარული გამოვა. სხვა რომ არა იყოს რა, გიზოს მოსწრებული ოხუნჯობა და იმიტატორული ნიჭი კმარა. მეც, რა თქმა უნდა, ავყვები სხვებს, მაგრამ ვიქნები მაინც მოწყენილი და გულნაკლული.

ყინავს. მგონი, თოვას აპირებს. ქალაქი ილუმინაციებით არის გაჩახჩახებული. შეცივებული თითქმის მივრბივარ.

უცებ ჩემი სახელი მესმის. დაფეთებული თავს იქით ვიბრუნებ, საიდანაც ხმა ისმის. მიშიკო ხელით მანიშნებს დავუცადო. ხანშიშესულ კაცს ემშვიდობება და ჩემსკენ მოეშურება. მე კი გაშეშებული ვდგევარ, ვერ გავრკვეულვარ, მწყინს ეს მოულოდნელი შეხვედრა თუ მიხარია. ქუჩაში გამოსვლისას ჩემი ფიქრი ყოველთვის ის იყო —სადმე მიშიკოს შევხვედროდი, და გუნებაში ვემზადებოდი ხოლმე ამ შეხვედრისათვის. დღეს კი, სწორედ დღეს არ მიფიქრია, რომ ვნახავდი.

მიშიკო ხელს მართმევს და მეუბნება:

—სადა ხართ!... შეიძლება ასე დაკარგვა?

— მე—?.. როდის დავიკარგე... მუზეუმში ვარ...

— ვიცი, რომ მუზეუმში ხართ. მაგრამ უნივერსიტეტი რატომ დაივიწყეთ?

— არა... არ დამივიწყნია, ალმანახის განხილვაზე ვიყავი ამას წინათ.—ძლივს ვამოძრავებ მღელვარებისა და სიცივისაგან გაშეშებულ ტუჩებს. ალბათ, გალურჯებული და უშნო ვარ.

— ალმანახის განხილვაზე?—მიშიკო განზე იცქირება და ეტყობა იგონებს, რატომ არ იყო. ო—ო..ჰო! მაშინ ავად ვიყავი.—მკლავში ხელს მკიდებს და გამვლელებს მარიდებს.—ახალ წელს სად ხვდებით?

—ელისოსთან. ხომ იცნობთ ელისოს? აი, მაღალი, ქერა...

— როგორ არა,—თავს მიქნევს მიშიკო.

— თქვენ?—ვეკითხები.

— მეც ამხანაგებთან...—და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაჯერებული ტონით ამბობს:

—მე თქვენთან ერთად მინდა შევხვდე ახალ წელს.

— ჩემთან ერთად?!—ვიღიმები და თანდათან ვთბები.

— ჰო, თქვენთან ერთად... თქვენ რას იტყვით?

ჰმ. მე რა მეთქმის?!

— რატომაც არა...—მიხარია და ვჩქარობ:—წამოდით ჩვენთან. გაუხარდებათ.

— არა, მე იქ არ წამოვალ,—ამბობს მიშიკო,—მე მინდა მარტო ჩვენ... ჩვენ ორნი!...

— ჩვენ ორნი?!—ვეკითხები და ვფიქრობ, საწყენი ხომ არაფერია ამ სიტყვებში? ცოტა მგონი. მწყინს კიდეც მისი შეუვალი და დაჯერებული ტონი. ესე იგი, საქმე მისი სურვილი და გადაწყვეტაა, მე კი მხოლოდ ამას მოველოდები. არა? მაგრამ გულში რაღაც მაინც მიხარია.

— როგორ. სად?—ვეკითხები.

— ჩვენ ამას ახლავე მოვიფიქრებთ...—მიშიკოს ისევ განზე მიაქვს თვალები და ერთი წუთით, თითქოს ავიწყდება ჩემი იქ ყოფნა. მერე იმ, ქორწილისლამინდელი ღიმილით შემომყურებს და ამბობს:

— ჩვენ შევალთ კინოში, სულ ერთია, რაც იქნება; მერე სადმე, აი თუნდაც კაფე „თბილისში", ერთმანეთს ახალ წელს მივულოცავთ და მერე მე თქვენ წაგიყვანთ, სადაც მიდიხართ. კარგი?

— კარგი, კარგი...—ვიცინი მე ამ შეხვედრით, მიშიკოს მოსაზრებულობითა და სითამამით აღტაცებული.

სჩანს. მარტო წიგნებში არ სწერია, ცხოვრებაშიც ხდება ასე?

ჩვენ გადავდივართ ქუჩის მეორე მხარეს და კინოთეატრის შენობაში შევდივართ. მიშიკო არც კითხულობს რა გადის და რიგში დგება. მე კი ვდგავარ შორიახლო, შემკრთალი, ცოტა აბუზული და გული ტკბილად მელევა:

— ნუთუ?... ნუთუ აღარ შევხვდები ამ ახალ წელს მოწყენილი და გულნაკლული?!.

„[illegible]". დადგმა სსრკ სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელისა, ოპერატორები—დ. კანდელაკი და დ. ფელდმანი, მუსიკა—ს. ცინცაძისა.

ფოტო ვ. პალაიტიდისა.



ოთარაანთ ქვრივი—სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.



ოთარაანთ ქვრივი—ვ. ანჯაფარიძე. გიორგი—გ. შენგელაია.



არჩილი—ბ. ანდრონიკაშვილი, კესო—ქორქოლიანი.

# ახალი ქართული კინოფილმები

„სხვისი შვილები." რეჟისორი თენგიზ აბულაძე, ოპერატორი—ლ. პაატაშვილი, მუსიკა—ა. კერესელიძისა.



დათა—ო. კობერიძე, თეო—ა. ქანდაურიშვილი.

ფოტო ხ. ლოტოევისა.



ნატო—ც. ციციშვილი.



მარცხნიდან: ლია—ნანი ჩიქვინიძე, დათა—ო. კობერიძე, გია—მიხო ბორაშვილი. ნატო—ც. ციციშვილი.



# ხუთი ქალიშვილი

მ. მიქაძე

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მძაფრი ქარი სარკმელს მოაწყდა და ფარდა შეარხია. ოთახში მყოფნი ხმაურმა შეაკრთო.

ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი წამოდგა, მოსინჯა საიმედოდ იყო თუ არა ჩაკეტილი სარკმელი, მერე შეორთქლილი მინა გაწმინდა და გარეთ გაიხედა.

— უ, გოგოებო, რა საშინელი ამინდია!— წამოიძახა მან და ფარდა გადასწია. მაგრამ არავინ გამოეხმაურა. მხოლოდ ერთმა, იქვე რადიატორთან მოკალათებულმა გოგონამ ჯერ ფანჯარას, მერე კედლის საათს შეხედა და კვლავ კითხვა განაგრძო.

რაკი ვერავის ყურადღება მიიპყრო, შავთვალამაც გადაშლილი წიგნი აიღო და თავისი ადგილი დაიკავა.

ოთახში ხუთნი იყვნენ; ხუთივე ქალები-ისხდნენ ცალცალკე, წიგნები ეჭირათ და თავისთვის კითხულობდნენ ჩუმად, ხმაამოუღებლივ, ერთმანეთის არსებობა თითქოს დავიწყებოდათ.

ეს წლობით განმტკიცებული ჩვეულებაა. მეხუთე წელია ასე სხედან ქალიშვილები სტუდენტთა ქალაქის მე-7 კორპუსის მე-13 ოთახში. თავის დროზე შემთხვევამ, ან როგორც იტყვიან, ბედმა შეჰკარა ისინი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ერთ ჯგუფში, ხოლო ახლა ბევრმა კიდეც იცის, რომ ლამარა დოლიძე, ოლია მარგოშვილი, ვენერა იმერლიშვილი, ნანული მამულაშვილი და თამარ ტილყავაშვილი უგულითადესი მეგობრები არიან და ერთმანეთი დებივით უყვართ.

ოთხი, ცხოვრების ყველაზე საუკეთესო, ძვირფასი წელი აკავშირებს მათ ერთმანეთთან. ეს წლები სიცოცხლით, მღელვარებითა და სიხარულით აღსავსე, სწავლისა და შრომის, ზრდისა და წინსვლის წლებია. ეს ის ოთხი წელია, რომელსაც დიდმა ილიამ ცხოვრების საძირკველი, ცხოვრების წყაროს სათავე უწოდა.

ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ, პირველად რომ შეხვდნენ ერთმანეთს დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსულნი, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მხრებზე დაშვებულ წყვილ-წყვილ ნაწნავებს, მზეზე გარუჯულ სახეებსა და ხელებს, სოფლური შრომის კვალი რომ ეტყობოდათ,—მათ თითქმის არაფერი ჰქონდათ საერთო ხალასი გულისა და ერთი სურვილის გარდა—ესწავლათ. მაგრამ ეს ერთი საერთო მიზანი, საერთო მისწრაფება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ისინი მეგობრები გამხდარიყვნენ.

მშობლიურ მზრუნველობას, დედის ხელების სითბოს შეჩვეულთ პირველად დაძინებაც კი უჭირდათ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის უცხო კედლებში, მაგრამ მალე ეს უცხო კედლები მყუდრო თავშესაფრად, ნამდვილ ოჯახად იქცა, სადაც დობას და დედობას თვით უწევდნენ ერთმანეთს.

ოთხი წლის განმავლობაში მათ ერთხელაც არ მოკლებიათ ცხელი სადილი. მუდამ ჰქონდათ სოფლიდან ჩამოტანილი ღორის ხორცი, სიმინდის ფქვილი, ცხვრის ყაურმა და ბადრიჯნის საცივი. რიგრიგობით დიასახლისობდნენ. როცა ლამარა იყო მორიგედ, სადილად უეჭველად მჭადი ან ღომი ექნებოდათ, ხოლო თელაველი ვენერა იმერლიშვილი და ახმეტელი ოლია მარგოშვილი ხინკალს მოხარშავდნენ.

საერთო ჰქონდათ ქისაც.

— გოგოებო, ჩვენს ინგილო ქალს (თამარ ტილყავაშვილზე ამბობდნენ) კარგი საზამთრო პალტო არა აქვს, დისგან ხუთასი მანეთი მიიღო. დავუმატოთ ჩვენი სტიპენდიები და კარგი პალტო ვაყიდინოთ.

თამარი უარობდა, მაგრამ მან იცოდა, რომ საზამთროდ ახალი პალტო ექნებოდა.

ახლა მეორეს ფეხსაცმელი გაუცვდებოდა, მესამეს კაბა დასჭირდებოდა, სტუდენტური ქისა როგორღაც ყველას და ყველაფერს სწვდებოდა.

საგაზაფხულო სესიების დამთავრების შემდეგ სტუდენტ ქალებს უხაროდათ, რომ გამოცდები ჩააბარეს და ორ თვეს სოფელში ლაღად დაისვენებდნენ. თან წყინდათ, გული წყდებოდათ ერთმანეთს რომ შორდებოდნენ, თვითეული თავისთან ეპატიჟებოდა დანარჩენებს და ხშირად მართლაც ეწვეოდნენ ერთმანეთს სოფელში. მაგრამ ყველანი თავს ერთად ვერ იყრიდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტში, ერთმანეთთან შეხვედრას სტუდენტთა ქალაქში.

საღამოობით თავისუფალ დროს უერთმანეთოდ ფეხს არსად დგამენ, ერთად სეირნობენ, კინოსა და თეატრშიც ერთად დადიან. თუ მაინც მოხდა და რომელიმე მათგანი სხვა მეგობართან შეყოვნდა, ყველანი მას უცდიან, მის მოსვლამდე არ წვებიან.

მეხუთე წელია ცხოვრობენ ასე ერთმანეთის მზრუნველობითა და სიყვარულით. და აი, მოახლოვდა მათი განშორების ჟამი. ეს უკანასკნელი ზამთარია მათთვის ერთ ჭერქვეშ. კიდევ რამდენიმე თვე, ერთი გაზაფხულიც და დაამთავრებენ უნივერსიტეტს, თავთავიანთ გზას მონახავენ და ექნებათ სულ სხვა ცხოვრება, ალბად უფრო საინტერესო და მიმზიდველი, მაგრამ უერთმანეთოდ.

ქალებს გონებაში უკვე ესახებათ თავიანთი მომავალი ცხოვრება: ნანული მამულაშვილს გადაწყვეტილი აქვს კასპის ცემენტის ქარხანაში იმუშაოს ქიმიკოს-ტექნოლოგად. ლამარა დოლიძემაც წარმოება არჩია კამოლვაწეო ასპარეზად, აჭარაში აპირებს წასვლას. ვენერა იმერლიშვილს, თამარ ტილყავაშვილსა და ოლია მარგოშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა უფრო ხიბლავთ—მშობლიურ სოფლებში სურთ მუშაობა.

ჯერ-ჯერობით კი აქ სხედან, გამოცდებისათვის ემზადებიან და ახლა უფრო მეტადვიდრე ოდესმე, გრძნობენ რა ძვირფასი, რა ახლობელი არიან ერთმანეთისათვის.

კედლის საათმა ცხრაჯერ დარეკა. ოთახში მსხდომნი წამოდგნენ. თავაუღებელი მეცადინეობის შემდეგ ნახევარსაათიანი შესვენება ცხადდება და ყველანი ერთად იწყებენ ლაპარაკს.

— ერიჭაა? თქვენ ლაპარაკი გაабით და ვახშმად კი არაფერი გვქონია. არიქა, ლამარა, დატრიალდი, ხაჭაპურები დააცხვე შენებურად, თორემ დავრჩით მშიერი,— წამოიძახა ვენერამ.

ყველას ახლა გაახსენდა, რომ მშივრები იყვნენ. დაფაცურდნენ, ნავთქურაზე ტაფა შედგეს, გადმოქექეს საკუჭნაო. მაგრამ სახაჭაპურე ყველი არ აღმოაჩნდათ საკმარისად.—ჩვენს მეზობლებს ექნებათ, ამასწინათ მზია გარდაფხაძეს დედა ჩამოუვიდა ჩოხატაურიდან დატვირთული. და ერთერთი მათგანი მეზობელ ოთახში მიცუნცულებს ყველის საშოვნელად.

ნახევარი საათის შემდეგ ცხელცხელი ხაჭაპურები მზად არის. მეზობლებმა—ნაზი ჯორბენაძემ და გოგუცა კობახიძემ ახალგამომცხვარი მჭადები და მოგვალად მოხარშული ქათამი შემოუმატეს სუფრას.

ვახშმის შემდეგ ისევ წიგნებს ჩაუჯდნენ, გარეთ ციოდა, გაბმულად ზუზუნებდა ქარი, აქ კი, ოთახში მყუდროება და სითბო სუფევდა, კედლის საათი ზანტად ითვლიდა წამებს, საამოდ შიშინებდა რადიატორი და შეორთქლილ ფანჯრებზე ყინვა ამაოდ სინჯავდა ძალას.

ვინ იცის, რამდენ თაობას გაუტარებია სტუდენტობისა და ახალგაზრდობის მღელვარე წლები ამ ჭერქვეშ, და კიდევ რამდენი იპოვის აქ მყუდრო ბინას, სიყვარულით და მეგობრობით დაუკავშირდება თავის ტოლსა და ამხანაგს!



დღეს სამზარეულოში ოლია მარგოშვილი მორიგეობს.



სადილს შემდეგ წიგნებს ჩაუჯდნენ.



ახლა თავისი ოსტატობა დიასახლისობაში ლამარა დოლიძემ აჩვენა მეგობრებს. სუფრაზე მეზობლებიც მოიპატიჟეს.



ღამეა. თამარ ტილყავაშვილის მოლოდინში ქალიშვილები დომინოს თა-ბენ. აი მანაც შემოაღო კარი.



# ქართული ქარგულობა



ქართველი ხალხის ხელსაქმის მრავალფეროვან ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი მხატვრულ ქარგულობას უჭირავს. მასში გამომჟღავნებულია ქართველი ქალის უაღრესად ფაქიზი გემოვნება, ბრწყინვალე ოსტატობა, ფერთა შერჩევისა და ფერადოვნების უხადო გამის უნარი.

ნაქარგს ფართო გავრცელება ჰქონია ჩვენში. მას იყენებდნენ შინაური ყოფისა და მოხმარების მრავალნაირი საგნების გასამშვენიერებლად, დაწყებული დორუმით (კედლის ნოხები), ბალიშებით (დორი და დორული), თავსაფრებით, ბალიშისპირებით, ფარდებითა და გათავებული ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმელთა დეტალებით.

თავის დროზე ჩვენში ნაქარგი ამშვენებდა როგორც გლეხთა ღარიბულ სახლებს (განსაკუთრებით მთიელებში—ხევსურებში, თუშებში, ფშავებში), ისე დიდგვაროვანი ფეოდალების სრა-სასახლეებს. ნაქარგები ერთმანეთისაგან მხოლოდ მასალით განსხვავდებოდა. პირველ შემთხვევაში მასალად გამოყენებულია უბრალო ჩითი და შალი, მეორე შემთხვევაში კი—ოქროსა და ვერცხლის მქედით მოქარგული და თვალმარგალიტებით მოოჭვილი ძვირფასი ქსოვილები—ფარჩა, ატლასი, აბრეშუმი.

ქართულ ნაქარგს ახასიათებს: 1. ფერადოვნების მკაცრი ჰარმონია (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხელსაქმეობის ქართულ სკოლებში XIX საუკუნეში ფერადოვნება მთავარ საგნად ითვლებოდა); 2. ორნამენტის (განსაკუთრებით მცენარეულის) ხაზთა სიზუსტე და რიტმულობა (ქარგვის ოსტატები ნახატის ორნამენტთა სიზუსტესა და რიტმულობას არქიტექტურული ორნამენტებიდან ითვისებდნენ); 3. ნაწილებისა და დეტალების განუმეორებლობა და 4. აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით მქრქალი, თავშეკავებული ტონებისა და ფერებისადმი სიყვარული. ამასთან, შეუძლებელია არ აღინიშნოს ნაქარგის სიუჟეტური სიმდიდრე—მასში გვხვდება ფლორის ნიმუშები და ფაუნის წარმომადგენლები—ცხოველები და ფრინველები.



მხატვრული ნაქარგის უდიდესი მემკვიდრეობა ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი ქარგვის უცნობი ოსტატები სრულყოფილად ფლობდნენ ამოქარგვის მეტად რთულსა და საკირკიტო ტექნიკას, რაც ასე საჭიროა ხელსაქმის ნამდვილი შედევრების შესაქმნელად. ამ ნაქარგებს ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

მხატვრული ხელსაქმეობის ფართო გავრცელებას ჩვენში ადასტურებს როგორც ნაქარგის ტექნოლოგიური პროცესის, ისე მისი სხვადასხვა ნაწილების, დეტალებისა და ელემენტების მდიდარი ტერმინოლოგია.

დამახასიათებელია ისიც, რომ ოსტატები კარგად იცნობდნენ ადგილობრივ ბუნებრივ საღებავებს და აგრეთვე ძაფის რთვის ნაირსახეობას.

დიდ პრაქტიკულ ინტერესს იწვევს აქამდე შემონახული რეცეპტები, რითაც ამზადებდნენ ყოველნაირი ფერისა და ელფერის მცენარეთა საღებავებს. ხშირად ძაფს ეზიდებოდნენ მაღალმთიან რაიონებში, აქ ულტრა-იისფერი სხივების ზემოქმედებით საღებავები დიდ გამძლეობას იძენდნენ. ამით აიხსნება ის, რომ ძველებურ ნაქარგებს უცვლელად აქვთ შენარჩუნებული ფერი.

ხელსაქმეობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჩვენში ფართოდ იყო განვითარებული სელის რთვა და მეაბრეშუმეობა.

საქართველოში ნაქარგი ადრიდანვე ყოფილა გავრცელებული. ნაქარგებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თამარ მეფე, რომელიც თვითონ ეწეოდა ხელსაქმეს და ამ ხელობაში სასახლის მანდილოსნებსაც აბამდა. ამას ადასტურებს „ქართლის ცხოვრება" და თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი.

არსებობს რუსეთის ორი ელჩის საინტერესო ცნობა, რომელიც XVII საუკუნეს განეკუთვნება. ეს ელჩები თეიმურაზ მეფეს ხლებიან სკანდის ციხეში, უნახავთ ქართული ნოხები და ნაქარგები, რომლებსაც ისინი „უბრძნესს ნაკერებს" უწოდებენ. უცხო მოგზაურთა განცხადებებით, ქართულ მხატვრულ ნაქარგებს დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ სპარსეთსა და თურქეთში. საინტერესოა ამ მხრივ რუსეთის მეფის მინისტრის გურიევის დირექტივა გენერალ რტიშევისადმი 1812 წელს, რომელშიც ვკითხულობთ: „სპარსეთში და ოსმალეთში დიდძალი რაოდენობით იგზავნება ოქრო და ვერცხლის მქედით ამოქარგული ქართული ნაკერები, რომლებიც აზიაში საუკეთესოდ არის მიჩნეული".

ნაქარგის გავრცელებასა და მნიშვნელობაზე XVII-XVIII საუკუნეებში ნათლად მეტყველებენ მზითვთა წიგნებიც. ჩვენში დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით ყოველი წოდების ქალწულს თავისი მზითვის ნაწილი თვითვე უნდა დაემზადებინა, რაც პირველ რიგში, ნაქარგს გულისხმობდა. ეს ასე ვთქვათ, მისი ერთგვარი ატესტატი იყო. მზითვის სიაში სხვა ნივთებთან ერთად ზუსტად იყო ჩამოთვლილი და აღწერილი ნაქარგები. ქალის დანიშვნის წინ ეს სია იგზავნებოდა სასიძოს ოჯახში.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში მხატვრული ნაქარგის მთავარი მომხმარებლები მონასტრები და ეკლესიები იყვნენ. მათი შეკვეთით იქარგებოდა მღვდელმსახურთა შესამოსლები, საეკლესიო საგნების სამკაულები. ამ ნაქარგის დამზადების კერა იყო ქალთა მონასტრები თბილისში—მამადავითისა (მთაწმინდაზე) და ფეთხაინის, მცხეთაში—სამთავროსა, დასავლეთ საქართველოში—მღვიმის მონასტერი და სხვ.





საერთოდ უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ხალხური ხელოვნების განვითარებისათვის არ არსებობდა ხელსაყრელი პირობები. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში მაინც მრავლად გამოვლინდა „ნემსის" შესანიშნავი ოსტატები, მათ შორის ვ. ანდრონიკაშვილი, ს. იზმიროვა, ე. ჰონიშვილი, დები ხოჯაშვილები და სხვანი, რომელთა ნამუშევრები წარმოდგენილი იყო 1850, 1883 და 1901 წლებში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ მხატვრული ნაქარგი შემორჩენილი იყო მხოლოდ მთიან რაიონებში, განსაკუთრებით ხევსურეთში, ნაქარგი ამშვენებდა მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელს (გულსაფრებს, საზურგეებს, ქუდებს და სხვა). ამ ნაქარგებს ახასიათებს მკაფიო ტონები და გეომეტრიული ფიგურებისა და ჯვრების კომბინაციები. ხალხური ხელოვნების ამ დარგის აღდგენა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაიწყო, ქართული ნაქარგის მცოდნის, შემკრებისა და პოპულიზატორის, ხელოვნებათმცოდნის არტემ გიორგის-ძე გაბუნიას (გარდაიცვალა 1940 წელს) ხელმძღვანელობით. მან ხალხური შემოქმედების სახლთან მოაწყო ნაქარგის საამქრო, სადაც გამოცდილი ოსტატების—ანასტასია დავითის ასულ ჯანდიერისა და თამარ გიორგის ასულ გედევანიშვილის (ამჟამად გარდაცვლილია) მზრუნველობით გამოიზარდნენ შესანიშნავი მქარგველები: მ. წერეთელი, ციციშვილი-არღუთინსკაია, ე. გაგუა, მ. უჯმელიძე, თ. მექვაბიშვილი, ნ. სვანიძე და სხვები. მათი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური ხელოვნების ორ გამოფენაზე—1937 და 1941 წლებში (ეს უკანასკნელი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავს). 1941 წლის გამოფენაზე პირველად წარმოდგენილი იყო ნაქარგები—პორტრეტული გამოხატულებანი და რთული თემატური კომპოზიციები: ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, „ი. ბ. სტალინი თბილისში დედასთან"—მხატვრული კერვის ოსტატების ა. ჯანდიერისა და ე. სულხანიშვილის მიერ შესრულებული, კ. ვოროშილოვის პორტრეტი—ნ. ფალიაშვილისა და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში 1947—48 წლებში მოსკოვში მოეწყო „ხალხურ-დეკორაციულ და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა." იგი მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავს. ამ გამოფენაზე ქართველ ქალთა მხატვრული ნაქარგებიდან გამოირჩეოდა დეკორაციული პანო—„გამარჯვების დროშის აღმართვა ბერლინის რაიხსტაგზე." იგი შესრულებული იყო ოსტატი ქალების—მ. წერეთლის, თ. ხიარელაშვილის, მამადაშვილის, მშვიდობაძის და ციციშვილი-არღუთინსკაიას მიერ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით ციციშვილის ესკიზით და ა. ჯანდიერის ტექნიკური ხელმძღვანელობით. ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე ორი დიდი სუფრა და დიდი ბალიში (აპლიკაცია ფარჩაზე)—„გაქცეული ირემი ცისფერი ზეცის ფონზე"—თ. გედევანიშვილის ნაქარგი.

ამ ბოლო წლებში თბილისის მოდელების სახლის მხატვარ-მოდელიერები—ევგენია ჯავაშვილი, ალექსანდრა აბესაძე, ანა და თამარ კალანდაძეები, ზინაიდა კარასევა და სხვები ფართოდ სარგებლობენ ხალხურ ნაქარგთა მდიდარი მემკვიდრეობით.

ჩვენს მუზეუმებში უხვად არის დაცული ხალხური ნაქარგები. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი—„მეტეხი", რომელშიც თავმოყრილია ნაქარგისა და ხელსაქმის შესანიშნავი კოლექცია. საინტერესო ექსპონატებია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, ხალხური შემოქმედების სახლისა და საქართველოს სარეწაო საბჭოს შინამრეწველობის მუზეუმებში. ამ უკანასკნელშია არქიტექტურული ორნამენტებისა და ნაქარგთა ნიმუშების ალბომებიც.

ცნობილი რუსი მწერალი ქალი ოლღა ფორში, გაეცნო რა ნაქარგთა და ხელსაქმის ნაწარმთა გამოფენას „მეტეხის" მუზეუმში, ჟურნალ „ლიტერატურნი სოვრემენნიკში" სწერდა:

ნაქარგი... მაღალი, მხატვრული ოსტატობაა. ქართველმა ქალმა ნემსი დააყენა სახელმოხვეჭილი მხატვრის ფუნჯისა და მოქანდაკის საჭრისის დონეზე.

**გ. ტყეშელაშვილი,**

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წევრი.

## რედაქციისაგან

**საქართველოს ქალებს მხატვრული ქარგულობის მდიდარი ტრადიციები აქვთ. მათ ხელსაქმის ამ სახეში არაერთი შედევრი შეუქმნიათ.**

**რედაქციას განზრახული აქვს ჟურნალის ფურცლებზე პერიოდულად მოათავსოს წერილები ამ საკითხზე და ნაქარგთა ნიმუშები, ამით დაეხმაროს ხელსაქმის მოყვარულებს.**

**გარდა ამისა, სასარგებლო საქმეს გააკეთებენ ჩვენი ქალები თუ ისინი შეაგროვებენ ხალხში შემონახულ მხატვრული ქარგულობის ნიმუშებს ეთნოგრაფიული მუზეუმის გასამდიდრებლად.**

**სურათებზე—ქართული ქარგულობის ნიმუშები.**

# რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

ბინის დალაგების დროს ყოველთვის როდია შესაძლებელი რბილი ავეჯი გასაბერტყად გარეთ გაიტანოთ. დიასახლისი იძულებულია ოთახში ან შემოსასვლელში დაბერტყოს იგი. ამ დროს ბინაში მტვრის კორიანტელი დგება.

სულ უბრალო საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ავეჯი გაიბერტყოს ოთახში და მტვერი არ დადგეს: აიღეთ დასველებული და კარგად გაწურული დიდი ჩვარი. დააფარეთ ავეჯს და დაბერტყეთ სპეციალური ჯოხით. სველი ნაჭერი მტვერს მიიკრავს და ოთახში აღარ მიმოიფანტება. თუ ავეჯი დიდიხნის დაუბერტყავია, ჩვარი ხელმეორედ გარეცხეთ და ისევ გაიმეორეთ ბერტყვა. შემდეგ ავეჯი გაწმინდეთ მშრალი ჯაგრისით. ხის ნაწილი კი—ჩვრით.

კანიდან მელნის ლაქების მოსაცილებლად არსებობს უბრალო და მეტად მოხერხებული საშუალება. მელნით დალაქიანებული ადგილი დაასველეთ და წაუსვით ჩვეულებრივი ასანთის თავი, ლაქა მაშინვე გათეთრდება. შემდეგ დაიბანეთ საპნით და თბილი წყლით.

იატაკიდან ლაქების ამოღების სხვადასხვა წესი არსებობს. გაგაცნობთ ყველაზე უფრო გავრცელებულ წესს:

ქონის ლაქები უბრალო ხის იატაკიდან ბენზინით უნდა ამოწმინდოთ. შემდეგ დააყარეთ კარტოფილის ფქვილი, დააფარეთ შემწოვი ქაღალდი და ზემოდან გაუსვით ოდნავ გაცხელებული უთო.

ქონის ლაქები პარკეტის იატაკიდან უნდა ამოწმინდოთ სკიპიდარით, შემდეგ დააყარეთ ტალკი ან თეთრი თიხის ფხვნილი. დააფარეთ შემწოვი ქაღალდი და ზემოდან გაუსვით ოდნავ გაცხელებული უთო.

ხშირად დიასახლისი კერძის მოხარშვის დასაჩქარებლად სოდას უმატებს. ეს სასურველი არ არის. რადგან სოდა ანეიტრალებს მჟავას და შლის ვიტამინ ც-ს (ასკარბინის მჟავა), რის გამოც საჭმლის კვებითი ღირებულება ქვეითდება.

ხიზილალა არ შრება და დიდხანს ინახება, თუ მას ჩავდებთ ქილაში, მოვასხამთ საჭმლის ზეთს და გერმეტიულად დავხურავთ.

თეთრი და შავი პურის ერთად შენახვა არ არის სასურველი, ასეთ შემთხვევაში თეთრი პურის გემო უარესდება, რადგან იგი ადვილად ითვისებს შავი პურის სუნს.

გარეკანის პირველ გვერდზე—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნინო რამიშვილი. ფოტო ი. ხალიპისა.

გარეკანის მე-4 გვერდზე—ქართული ქარგულობის ნიმუშები.

**გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.**



## ჰორიზონტალურად

5. სისხლის ძარღვი. 6. მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია. 8. ანტიბიოტიკი. 11. ქალაქი იტალიაში. 14. ჯგუფური სროლა. 15. ნახევარკუნძული ინდოეთის ოკეანეში. 16. ქვეწარმავალთა ჯგუფის წარმომადგენელი. 17. წყლის ტრანსპორტი. 21. მიბაძვა. 22 საერთაშორისო შეთანხმება, 23. ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი. 26. სისხლის მიმოქცევის სისტემის ორგანული დაავადება. 27. ცნობილი საბჭოთა კალათბურთელი. 28. ვულკანის ყელი.

## ვერტიკალურად

1. ცნობილი ბერძენი მეცნიერი. 2. კვების განსაკუთრებული რეჟიმი. 3. გერმანელი ფილოსოფოსი. 4. შუალედი მოქმედებათა შორის, 7. ფრინველი წეროების ოჯახიდან. 9. მეორე ეგზემპლარი. 10. ავადმყოფთა იზოლაცია. 12. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 13. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. 18. დროებითი თანამშრომლობა. 19. კარტის თამაშის ერთ-ერთი სახე, 20. ბოსტნეული. 24. ტრანსპორტის სახე ძველ ჩინეთში. 25 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

## ჟურნალ № 2-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 7. სატრაპი; 8. მოცარტი; 9. მაქო; 11. აული; 12. ცეტკინი; 14. იდილია; 15. იბსენი; 16. ოკა; 17. ერა; 20. გიტარა; 22. ირონია; 23. ივანოვი; 24. დენი; 26. ნანა; 27. ზეგერსი; 28. ყიფშიძე.

ვერტიკალურად: 1. მარაბდა; 2. ერბო; 3. ეპოპეა; 4. კოტონი; 5. მაია; 6. ეტალონი; 10. ეკატერინე; 12. ცისკარი; 13. იბარური; 18. პირინეი; 19. წიგნაძე; 21. ავანსი; 22. ივერია; 25. იდეა. 26. ნუში.

**რედაქტორი თეო აბაშმაძე.**

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. ხირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა კ. ყარაშვილმა.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.**

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3—30—57.

ტირაჟი 15.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 90. უე 00723

საქ. კპ. ც-კის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14

**Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали", Издательство ЦК КП Грузии.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




სათხილამურო კოსტუმები

ფასი 3 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



